



ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება 12

ქ. ახალციხე

2015 წლის 20 მარტი

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის 506 განკარგულებით „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, ახალციხის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი 650,590.00 (ექვსას ორმოცდაათი ათას ხუთას ოთხმოცდაათი) ლარის განაწილების თაობაზე

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის 506 განკარგულებს და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

მუხლი 1. მოწონებულ იქნას საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის 506 განკარგულებით „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, ახალციხის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი 650,590.00 (ექვსას ორმოცდაათი ათას ხუთას ოთხმოცდაათი) ლარის განაწილება დანართი № 1 ის მიხედვით:

მუხლი 2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში. (მის: ქ. ახალციხე, მებალიშვილისქ.#62.)

ახალციხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ლომიძე